№ 161. ივლისის 26, ხუთშაბათი. 1866—1884 ივლისის 26, ხუთშაბათი № 161.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—მ; მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—8 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 6 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ ფასი აგვისტოს 1-დამ წლის დამლევამდე 4 მ. და 50 კ.

ARWRUNISEUL QARVASLAShI

არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—2)

## შინაური ქრონიკა.

— ბუშინ, ოთხშაბათს, ამ თვის 25-ს, ქალაუბნის ეკლესიაში იქმნა გადახდილი პანაშვიდი „დროების“ უწინდელის რედაქტორის ს. ს—ძე მესხის მოსახსენებლად. დილის 11-ს საათზედ შეიყარა საკმაოდ ხალხი, რომელთ შორის ქალებიც იყვნენ.

ჩვენდა სამწუხაროდ, მათ შორის არა სჩანდა განსვენებულის ზოგიერთი პირადი მეგობარი, თუმცა ისინი თბილისში იმყოფებოდენ და ყველაზედ მომეტებულად ვალდებულნი იყვნენ განსვენებულის სახელისთვის პატივი ეცათ.

იქ მოსულთ შორის მოჩანდენ ყოველი საზოგადოების წარმომადგენელნი, როგორც ლიტერატორნი და მასწავლებელნი, აგრეთვე სამსახურში მყოფნი, მესტამბენი, ამწყობნი და ხელოსანნი.

სასულიერო წოდებაც უცხო არ დარჩა იმ კაცის სახელის მოგონების დროს, რომელიც საზოგადოებას იმით ემსახურა, რითიც შეეძლო და როგორც შეეძლო.

მლოცველთა შორისაც მოჩანდა სამღვდელოება.

პანაშვიდი გადიხადა პატივცემულმა არხიმანდრიტმა გრიგოლმა, რამდენიმე მღვდლის, მთავარ-დიაკვნის და დიაკვან-მგალობლების დახმარებით.

მღვდელ-მომქმედთა უსასყიდლოდ გადაიხადეს პანაშვიდი, რასაც ჩვენ ჩვენს მოვალეობად ვხადით საყოველთაოდ გამოვაცხადოთ.

— ხაშურიდამ გვწერენ, რომ იქ შემდგარა რკინის-გზის მოსამსახურეთაგან ცალკე სანიტარული კომისია სისუფთავის დასაცველად. ეტყობა ხოლერას იქაც მოელიან და ან კი როგორ არ უნდა მოელოდენ, როდესაც ხშირად ცოლ-შვილიანი კონდუქტორები, რომელთ ოჯახი 7 და 8 სულისაგან შესდგება, სცხოვრობენ ერთ პაწია ოთახში. ამ გვარ ოთახებში შეუძლებელია სისუფთავის დაცვა. ყველაფერი ზედ აყრია მცხოვრებს და ჰაერიც მუდამ გაფუჭებული და მძახე სდგას. აქაური კონდუქტორები ძალიან შეწუხებულნი არიან აგრეთვე იმ გარემოებით, რომ პატარა საჯდომები მოშალეს ვაგონებზე კონდუქტორებისათვის და რაღაც საბუდარსავით დაჰკიდეს თუჯის სავარძლები. წინად კონდუქტორი, ცოტად თუ ბევრად, თავს იფარავდა ზაფხულობით სიცხისაგან და ზამთრობით სიცივისაგან. ახლა კი თავისი უბედური თავი შეშვერილი აქვს ყოველ-გვარ უამინდობას, თოვლსა და ავდარს, ყინვასა და სეტყვას.

— გუშინ დილით მეთევზეებმა გამოიტანეს ავლაბრის მორევიდგან ორი დამღრჩვალი კაცის გვამი: ერთი აღმოჩნდა არტილერიის საწყობის ხაბაზი სალდათი და მეორე კი, რომელსაც ეტყობოდა, რომ დიდი ხანი ყოფილა წყალში, არ იციან—ვინ არის.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! ვინ არ იცის, რომ რკინის-გზით მოგზაურს უფლება ეძლევა ამ გზის კანონის ძალით თითო ბილეთზე თითო ფუთის სიმძიმე ბარგის მუქთად წაღებისა მატარებლით. მაგალითად, ორ მგზავრს რომ ერთად $2^1/_2$ ფუთი ბაგაჟი მიჰქონდეს, მარტო $^1/_2$ ფუთისას გამოართმევენ და ორი ფუთისას გამოურიცხავენ; სამს მგზავრს რომ სამი ფუთი რაიმე მიჰქონდეს, სულ მუქთად წაუღებენ და სხ.

ეს ასე იყო და ასე არის; ყველამ გაიგო, ყველამ, უბრალო მუშა-კაცმაც კი; მაგრამ ზოგიერთი ვაქზალტონები ბრძანებულან, რომელნიც, რაკი შეძვრალან სამსახურში ამ გზაზედ, დალოცვილები, ისე იბერებიან, ყოყლოჩინაობენ, ისე რიგად ეპყრობიან მგზავრებს – თითქო ამათი გამოგონილი და ამათი მოწყალებით დაარსებული იყვეს ეს გზა—რომ ამ, კანონებს და იქნება სხვებსაც, ივიწყებენ, (თუ არ დასდევენ და უყურადღებოდ აგდებენ, ან თუ არ გაეგებათ) და მგზავრებს ამით უკმაყოფილოდა ხდიან.

ამის თქმას მე მაიძულებს შემდეგი გარემოება: ივლისის 12-ს მე ჩემი ორი ნათესავით ბორის სტანციიდგან მივდიოდი ქარელში, თან მიგვქონდა მაფრაშა ლოგინით, რომელიც ასწონეს სტანციაზედ და რადგანაც სამს ფუთზედ მეტი არ მოვიდა, უფასოდ წაიღეს ქარელში. ამავე თვის 18 ქარელიდგან რომ ბორს დავბრუნდით, ჩვეულებრივ ავიღე სამი ბილეთი და წარვადგინე ქარელის სტან. უფროსის თანაშემწესთან, ბ. სევერსკისთან, რომ გამომერთმია კვიტანცია მაფრაშისა, რომელიც მოვიდა 95 გირვანქა. ამწონავმა იქვე გამომიცხადა, მიწინასწარმეტყველა, როცა ზურგზედ მოიდო მაფრაშა, რომ „აქ სკიტკა აღარ არისო, უწინდელი ნაჩალნიკი ურიცხავდაო და ახლანდელი კი აღარაო“. ხამი, იქნება ვინმე, ახალი მოსული-მეთქი, ვიფიქრე. მაგრამ, როცა წარვსდეგ ბ. სევერსკის წინაშე, დავრწმუნდი, რომ ხამი კი არა, გაბრიყვებული ყოფილა საწყალი სხვისაგან. ბ. სევერსკიმ ზედაც არ დახედა ჩემს ბილეთებს, საჩქაროდ დასწერა კვიტანცია და 18 კაპ. მომთხოვა. როცა მე იმას დაწყნარებით ავუხსენ, რომ ამ 5—6 დღის წინად ესვე მაფრაშა ბორიდგან მუქთად წამომიღეს, რომ არც აქ უნდა გამომართვან ფული, რადგანაც სამი ფუთი არც კი არის და სხ., მან, ბ. სევერსკიმ, მრისხანედ გადმომხედა და ცივად მიპასუხა: «никакой скидки не полагается, потому, что это товаръ, а не багажъ». ქარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ, მე იძულებული გავხდი მიმეცა 18 კ., რადგანაც უიმისოდ კვიტანციას არ მაძლევდა და მაფრა-

---

## «დროების» ფელეტონი ივლისის 26.

### ახალი «სიბრძნე-სიცრუე».

ერთს ბუნებით მშვენიერს ქვეყანაში იყო ერთი ბედის მადლიერი კაცი, სახელათ «ქაცი». ამას შვილი არ ესვა, მაგრამ ქვეყნისთვის გულს ერჩოდა და მთელი იმ ქვეყნის მცხოვრებნი თავის შვილებად მიაჩნდა.— ქარგა შემძლებელი კაციც იყო „ქაცი“; თითქმის პატარა მთავარს არ ჩამოუვარდებოდა... ახლდენ ბევრნი ცუდა-მჭამლები და, არ გაგეცინოთ-კი, ვეზირებიც!... დიაღ, ვეზირები... ესე იგი მრჩევლები, თუმცა იმათ რჩევას ისე ახირებულადაც არ აჰყვებოდა ხოლმე.

ერთს დღეს „ქაცმა“ ბძანა და მოიხმო დარბაზში, თავის ვეზირთაგან, არჩევით, ორი ვეზირი: ერთი ხნიერი, უფროსი, რომელსაც ერქო სახელად ფშუკურა და მეორე უმცროსი და ახალგაზდა, რომელსაც ერქო ჭორიკანა, და უბძანა ასე:

— მე დღეს დაგიბარეთ თქვენ სადარბაზოდ: უნდა გესაუბროთ ჩემს შვილებზედ, იმათს აღზდაზედ, იმათს კეთილ-დღეობაზედ...

ვეზირებმა ერთმანეთს გადაჰხედეს გაკვირვებით...

„ქაცმა“ შეამჩნია ვეზირებს განცვიფრება და ბძანა:

— რაზე გაოცდით?... შვილები რომ არა მყავს?... ამ ქვეყნის მცხოვრებნი ჩემი შვილები არ არიან?... ჩემი ძმები, ჩემი მეზობლები, ჩემი...

— არა, დიდებულო ბატონო, „ქაცო!“ წამოიძახეს ორთავ ვეზირებმა... ჩვენ მაგაზედ არა გვიფიქრია-რა... თქვენი გულის ამბავი რომ ვიცით — დასძინა ფშუკურამ—ეჭვი არ არის, ხალხის სიკეთეზედ იქნებოდა თქვენი ბედნიერი აზრი და მიზეზიც ჩვენი აქ დაბარებისა...

— ჰო, და მეც იმისთვის დაგიბარეთ, რომ თქვენ უნდა არჩიოთ ყოველი კარგი და კეთილი, ყველგან თვალ-ყური ადევნოთ, გაიგოთ ავი და კარგი ხალხისა, მათი გაჭირვება, დაჩაგვრა და დამცირება, ზნეობის გადრეკა სიმრუდისკენ... თქვენ უნდა მომეხმაროთ რჩევით: შვილების აღზდაში, მათს პატრონობაში, მოვლაში და ზრუნვაში, რომ არავინ დამიჩაგროს, რომ დროზედ ვიპატიოთ ისინი ავის ხელისა და თვალისაგან, ავის განსაცდელისა და საფთხისაგან... ეხლა, რადგან უწინდებულად სალაყბო აღარა გვაქვს, ამისათვის დღეს აქ მოგიწვიეთ სადარბაზოდ...

ეს სხდომა პირველი იყოს.

— ქარგადა ბძანებთ, დიდებულო „ქაცო“,—წარმოსთქვა ჭორიკანამ— მაგრამ მე და დარბაისელი ფშუკურა ერთად ვერას ვარჩევთ: ჩემი და მაგის აზრი შორი-შორს დარჩებიან... ეგ გადაყრუებული გახლავსთ და მე... ბთხოვთ ან მე განმათავისუფლოთ ამ რჩევაში ყოფნისაგან და ან მაგის ნაცვლად სხვა ვეზირი მოიწვიოთ.

— ეგ შენი საქმე არ არის!—შეუტია ჭორიკანას მრისხანედ, „ქაცმა“—... თქვენ უნდა არჩიოთ და გზას მე მივცემ თქვენს რჩევას; ისიც თუ დამიჯდა, როცა ავწონ ჭკუის სასწორით...

— „მაგ სიტყვების შემდეგ, მე რაღა მეთქმის,—წარმოსთქვა გულნატკენმა ფშუკურამ...

— ჩუ! — წამოიძახა „ქაცმა“... თქვი შენი აზრი,—უბრძანა ფშუკურას... შენ უფროსი ხარ.

სთქვა ფშუკურამ არაკი.

ღმერთმა რომ კაცი გააჩინა, თურმე ოც-და-ათი წლის სიცოცხლე გაუჩინა. ერთს კაცს ეცოტავა ეს ხანი

შის დაკარგვა, ან იქ დარჩენა არ მემეტებოდა.

— მე შემიძლიან მოგცეთ 18 კ., მაგრამ წარმოიდგინეთ ღარიბ-ღატაკი მუშა-კაცი, რომელსაც ბილეთის ფასიც ძლივს უშოვნია და სხვა გროში არ მოეპოვება, იმასაც ასე უნდა მოეპყრათ? აჰა, გაძლევთ ფულს, მაგრამ იცოდეთ, რომ ან გიჩივლებთ და ან გაზეთში გამოვაცხადებ ამ თქვენს მოქმედებას-მეთქი, — ვუთხარი და მივეცი ფული, რადგანაც არც ჩხუბის გუნებაზედ ვიყავი და არც მეცალა, რომ საჩივრის წიგნში ჩემი მისდამი უკმაყოფილება ჩამეწერა.

— «დროებაში» გამოაცხადებთ, თუ «კავკაზში», ნეტავ, ვიცოდე, — მითხრა სევერსკიმ, ჩემგნით წათამამებულმა, ამოუდგა მხარში ნაჩალნიკს და არხეინად გაისეირნეს პლატფორმაზედ.

რადგანაც მე იმდენი დრო არა მაქვს, რომ საჩივარზედ ვიარო, გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულს გაზეთში ამ მცირე შენიშვნას, რომ იქნება, ან რკინის გზის მთავრობამ მიაქციოს ყურადღება, ან ბ. სევერსკიმ მოიშალოს ამ გვარი ახირება და უკანონობა.

ამასთან საჭიროდა ვრაცხ დავუმატო, რომ ის მაჟრაშა და კვიტანცია იმავე საღამოს შევამოწმებინე ბორის სტ. უფროსს ბ. ზედევანიშვილს, რომელსაც, სხვათა შორის, დაესწრო ბ. პაპიტოვი, კასირი და სტოროჟი ამ სტანციისა და სხვები, რომელთაც სთქვეს, რომ არ შეეძლო ფულის გამორთმევა, უკანონოდ აუღიაო. ვაცნობე აგრეთვე კონდუქტორს ბ. სოხელიას და მისს ორ ამხანაგებს, ჩემთან მგზავრს თ. ა. ციციანოვს, ქარელის სტანციის მოსამსახურეს და სხვებს, რომელთაც აგრეთვე სთქვეს, რომ არ უნდა მიმეცა ფული.

მგზავრი.

19 ივლისის 1884 წ.

## უცხოეთი.

**ავსტრო-ვენგრია.** იმისათვის რომ ვენგრიელები და ჩეხები უფრო ძლიერ დაუახლოვდენ ერთმანეთს, ამას წინად გაუმართავთ პრაგაში თეატრული წარმოდგენა, რომელზედაც ვენგრიელები მოუწვევიათ. ვენგრიელებსაც დაუქერიათ საკუთრად მთელი მატარებელი და დიდის ამბით მისულან ხსენებულს ქალაქში. მათ პატივსაცემად ნადიმი გაუმართავთ იქ და ორივე ხალხის წინა-კაცებს მეგობრული სიტყვები უთქვამთ ერთი-ერთმანეთისათვის. საზოგადოდ ვენგრიული გაზეთები და მათს რიცხვში პეშტის ლოიდიც ამ ჟამად თითქმის იმაზედა ლაპარაკობენ, თუ როგორ წავიდენ ვენგრიელები პრაგაში და რა ამბით მიიღეს ისინი პრაგის მცხოვრებლებმა; ყველა გაზეთებმა უძღვნეს ამ ამბავს მოწინავე წერილები და ფრიად დიდის თანაგრძნობით ლაპარაკობენ მათში თავიანთ «მოძმე სლავიანებზედ». ნემეცთა დასის ვენური ორგანები კი თავდაჭერით, მაგრამ ძლიერ გესლიანად და დაცინვით შეჰხებიან ამ ამბავს. მაგ., ერთი ამ გაზეთთაგანი ამბობს, რომ ის სრულიად გულგრილად უყურებს მადიარების და ჩეხების ურთიერთ შორის დაახლოვებას, ანუ შეერთებას; ამასთანავე აფრთხილებს პირველთ, რომ მოერიდონ იმ გავლენას, რა გავლენაც შეუძლიან იქონიოს მათს პოლიტიკურს ცხოვრებაზედ სლავიანურს მიმართულებას, და ურჩევს ნემეცური მიმართულება ამჯობინონ სლავიანურსა. ეს გაზეთი პირ-და-პირ ლანძღავს ჩეხებს და ამხილებს, რომ მონურად იქცევიან იგინი მადიარების წინაშე, რომელნიც ვითომ ამაყად და ამპარტავნულად ექცეოდენ მათ. ზოგიერთა ვენური გაზეთები კიდევ დიდს პოლიტიკურს მნიშვნელობას აწერენ ამ დაახლოვებას ავსტრო-ვენგრიისათვის. ისინი ამბობენ, რომ ვენგრიელები იმიტომ ცდილობენ ჩეხებთან დაახლოვებას, რომ ეხლა მალე უნდა დაიწყოს რეიხსრატის სესია და წინადვე შოულობენ მომხრეებს, რომ თავიანთი აზრი გაიყვანონ რეიხსრატშიო; ჩეხები კიდევ იმაზედ ოცნებობენ, რომ აღადგინონ გვირგვინი წმ. ვიაჩესლავისაო.

— ხორვატიის სეიმი დახურულა და ამასთან ერთად შეწყვეტილან ის დემონსტრაციებიც, რომელნიც ხორვატიის ვენგრიისაგან განცალკევების შესახებ ხდებოდენ. ამას წინად ზაგრების უნივერსიტეტის რექტორს ნება მიუცია სტუდენტებისათვის, რომ შეიყარნონ და გასაჯონ ის, თუ რა წესით იდღესასწაულონ ამ უნივერსიტეტის დაფუძნების ათის წლის დღეობა, რომელიც ამ ცოტა ხანში იქნება. ყრილობაზე თავმჯდომარედ თვითონ რექტორი ყოფილა. როდესაც გათავებულა ამ საგანზე სჯა და რექტორს დაუხურავს კრება, სტუდენტები მაინც არ დაშლილან, შეუდგენიათ მმართებლობის წინაალმდეგ პროკლამაცია და გადაუწყვეტიათ გამოაცხადონ იგი და გააკრან კლუბის «სლობოდას» კედლებზედ. როდესაც ეს განზრახვა შეასრულეს სტუდენტებმა, უნივერსიტეტის რჩევას მოუვიდა თურმე ბძანება გამოიძიოს ეს საქმე და დამნაშავენი დასაჯოს. რჩევამ გადასწყვიტა ზოგიერთა სტუდენტების გამორიცხვა, მაგრამ, როდესაც მმართებლობას წარუდგინეს დასამტკიცებლად ეს გარდაწყვეტილება, უკანასკნელმა თურმე საკმაოდ ვერა სცნო ეს, მისწერა, რომ ხელ-ახლად გამოიძიოს საქმე და შესწყვიტოს ეგზამენები იურიდიულ ფაკულტეტზე, რადგანაც სტუდენტები არა სცხრებიან და კიდევ მღელვარებენო. რექტორი წინაალმდეგი გაუხდა ამგვარ საშუალებათა ხმარებას და ამისათვის მაშინათვე დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან და საქმის გამოძიება ერთს რჩევის წევრთაგანს მიენდო. პეშტის ლოიდი თურმე საშინლად ჰკიცხავს ხორვატიის სეიმის ოპოზიციის წევრებს და აყვედრის მათ, რომ ახალგაზდობას თქვენა რყვნით, პოლიტიკურ საქმეებში რევთ და სწავლას აცდენთო.

ჩეხებს ხორვატელებიც დაუპატიჟნიათ პრაგაში ნაციონალური თეატრის გახსნაზე დასასწრებლად. ხორვატელები ჯერ კი მომზადებულან იქ წასასვლელად, მაგრამ ივლისის 22-ს შეკრებილან ის პირნი, რომელნიც პრაგაში წასვლას აპირობდენ და გადაუწყვეტიათ, რომ აღარ წავიდენ. ამის საბუთად ის გარემოება მოჰყავთ, რომ ჩეხებმა დიდის ამბით და ოვაციებით მიიღეს მადიარები, როდესაც ეს უკანასკნელნი ამას წინად პრაგაში მივიდენო.

**ინგლისი.** ამას წინად სამინისტრომ შეიტანა ლორდთა პალატაში წინადადება ამორჩევის რეფორმის გავრცელების შესახებ, მაგრამ პალატამ უარჰყო ეს წინადადება. ამის გამო ივლისის 21 (ახ. სტ.) ლონდონის შეუძლებელი მცხოვრებლები შეკრებილან და დემონსტრაცია მოუხდენიათ წინადადების სასარგებლოდ და ლორდთა პალატის წინაალმდეგ. დემონსტრაციაში 100,000-დამ 150,000 კაცი რეულა. ლონდონის მდიდარი და არისტოკრატი მცხოვრებლები ფანჯრებიდგან თურმე ადევნებდენ თვალ-ყურს, როდესაც ეს ამოდენი ხალხი ქუჩებში მოდიოდა. ამ დროს ერთი არისტოკრატული კლუბის ფანჯარაში დაუნახავთ დემონსტრატორებს ლორდი ჩერჩილი, რომელიც ცნობილია, როგორც მუდამ მოჩხუბარი კონსერვატორი და მოწინაალმდეგე ორატორი. ამ თვისებასთან ეს ლორდი ისეთი დაუდევარია თურმე, რომ ერთს ვილასაც გაზეთებში უოხნჯნია იმაზედ და დაუწერია, რომ ლორდი ჩერჩილი «პირველს მინისტრსა ჰყვე-

---

და მოახსენა თურმე უფალს: „ჯანი ძლიერი მიბოძე, თვალი და ყური მახვილი, გონება და გრძნობა სრული, ხნოვანება კი — მცირე... მიწყალობე კიდევ რამდენიმე წელიწადიო... უფალმა თურმე ჰკითხა: „შენ რომ ხანი მოგიმატო, ვილას წავართოვო?.. იმ კაცმა მოახსენა: „ყველა შენს ბედნიერს ხელთ არიო“... ადგა უფალიც, ვირს მოაკლო ათი წელიწადი სიცოცხლე და იმ კაცს უბოძა. უგუნურმა კაცმა ეს წყალობა კიდევ იცოტავა. მაშინ უფალმა მაიმუნს მოაკლო ათი წელიწადი და იმავე კაცს უბოძა, მაგრამ ხარბის გული ვერ გააძღო, ბოლოს და უკანასკნელად — ძაღლს მოუჭრა ათი წლის სიცოცხლე და ეს ხანიც იმავე მთხოვნელს უბოძა. წამოვიდა ის ხან-შემატებული კაცი და ოც-და-ათი წლისამ ცოლი შეირთო, ათი წელიწადი სულ ვირივით იმუშავა; ორმოცისა რომ გახდა და გადააბიჯა წრეს — ცოლმა პირი უბრუნა, რადგან იმ კაცს ჭაღარა შეერია... მაშინ იმ კაცმა, რომ თავი მოეწონებინა ცოლისთვის, წვერ-ულვაში შეიღება და თავს იყმაწვილებდა... ერთის სიტყვით, ათი წელიწადი სულ მაიმუნობაში გაატარა!.. რაკი ორმოცდაათს გადააბიჯა და შვილებიც წამოეზარდენ, სულ ჯავრობა დაიწყო, შვილებს დარიგებას აძლევდა, ღრინავდა და ჩიოდა: შვილებმა ამაძაღლესო!.. ათი წელიწადი სულ ამას იძახდა...

ეხლა იმ კაცისა არ იყოს, ეგ თქვენი ჭორიკანა ვეზირი ოც-და-ათს გადაბიჯებულია, სივირეში შესულა და რადგან მეც ორმოც-და-ათს გადავაბიჯე, — უნდა ამაძაღლოს, თორემ ჩემთან რა აქვს გასაყოფი და საშფოთო?!..

„კაცმა“ რა მოისმინა ეს არაკი, ცოტათი გაიღიმილა და ბრძანა: მაგ კინკლაობას თავი დაანებეთ და საქმეზედ ილაპარაკეთო... შემდეგ უბძანა ჭორიკანას:

— «ახლა შენი რიგიაო»!..

ჭორიკანამ მორჩილებით თავი დახარა და სთქვა არაკი.

იყო ორი კაცი: თბილელი და ქუთათელი, ორსავე ფული ჰქონდათ გაცემული გირავნობით. თბილელს ვალი ვერ გადაუხადა მსესხებელმა, ადგა თბილელი და გირაო ქარვასლა ჩამოართო ნახევარ მილიონად ღირებული და თვითონ დაინარჩუნა. ეს რომ ქუთათელმა გაიგო, ულვაშზე ხელი გადისო და სთქვა: «მე ქუთათელი არა ვყოფილვარ, თუ მეც არ ჩავინაშოვრე კაი მამულიო»... იმასაც გაცემულობა ჰქონდა, ვალს არ უხდიდენ; ადგა და გამოუცხადა მსესხებელს: ამა და ამ ვადაზედ მომე ფული, თორემ მამულიდამ ცარიელს დაგსომო...

ახლა შვილებმა რომ უსაყვედურონ თბილისელსაც და ქუთათელსაც: მამულები რად გინდოდათ, ვინ მოუვლისო? — იქნება თბილელმაც და ქუთათელმაც ფშუკურასავით სთქვან: „შვილებმა აგვაძაღლესო“... შვილებს რა ყურს უგდებენ, როგორცა სჯობდეს ისე მოიქცნენ მამები და აღარავინ ააძაღლებს იმათ.

— ბატონო «კაცო»! — წარმოსთქვა ფშუკურამ — ჭორიკანა ჩემი მტრობით ლაპარაკობს ასე, უნდა, რომ შვილები აგვიჯანჯოს, თორემ ჩვენი შვილები ისეთი უგუნურებიც არ არიან: იმათში, ზოგმა სალეწავი კევრები მოიგონა, ზოგმა წიწილების საჩეკი ქურა და სხვებმა — სხვა, და იმისთანა ჰკვიანი შვილები რად მოუწონებენ უსაფუძვლო მოქმედებას, ან თბილელს და ან ქუთათელს, თორემ თქვენ ყველა უკედ მოგეხსენებათ... ჭორიკანაც რომ ენა-ჭარტალი არ იყოს და მყრალი, არც სხვას აყროლებდა... მოგეხსენებათ ხომ, რომ სისუფთავე — სიცოცხლეა და უწმინდურება — ჟამი და სიკვდილი...

სთქვა ფშუკურამ არაკი.

საფრანგეთში ორი ქალაქი იყო: ტულონი და მარსელი, ყოვლის უწმინდურობით სავსე. ეს ამბავი მიუვიდა ინდოეთში ხოლერას, ძალიან იამა და სთქვა: «ჩემი საზრდო იქა ყოფილაო», დაჰკრა ფეხი და ტულონელებს და მარსელის მცხოვრებლებს თავი დაუკრა, წაუსო ხელი და სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სო.» საცინელი თურმე იყო, როდესაც ეს ამოდენა ხალხი მიუახლოვდა ორატორს და დაიწყო ძაღლივით ყეფა. კეთილშობილი ლორდი იჯდა თურმე დინჯად, იგრეხდა ულვაშებს და იმნაირი ღიმილით უყურებდა მათ, რომელშიაც იხატებოდა დაცინვაც და ზიზღიც.

## ხოლერა ევროპაში

ჩვენ ვიცით, რომ სხვა-და-სხვა გამოჩენილი ექიმი სულ სხვა-და-სხვა აზრს ადგა ხოლერის გაჩენისა და გავრცელების შესახებ და აგრეთვე ხოლერასთან ბრძოლის შესახებაც. ერთნი ამბობენ, რომ ხოლერა გადამდებით ვრცელდება და ჩნდებაო, მეორენი ამბობენ, რომ ხოლერა ისეთივე ადგილისა და მდებარეობის სენია, როგორც ციებ-ცხელება და უფრო ხან-გამოშვებითი ციებ-ცხელება და სახადიო. სრულიად სხვა-და-სხვა აზრს ადგანან, მაგალითად, ისეთნი პირნი, რომელნიც მედიცინის მნათობებად ითვლებიან და მეცნიერების შვენებას შეადგენენ: კოხი, ვირხოვი, პასტერი, ბერენი, პეტენკოფერი და სხვ. ამას წინად „ალგემეინე ცეიტუნგში" დაუბეჭდია ამ უკანასკნელს თავისი წერილი, რომელშიაც გაბედულობით ამტკიცებს, რომ ხოლერა გადამდები სენი კი არა, რომელიმე ადგილას დაბუდებული მიზეზის გამო გაჩენილი ავადმყოფობააო. ამის გამო პეტენკოფერი ამ საგანში თავის-თავს ლოკალისტს ეძახის და, იმის აზრით, ხოლერა იმდენადვე დამოკიდებულია ნიადაგსა და ადგილ-მდებარეობის ვითარებაზედ, რამდენადაც ესრედწოდებული ყვითელი და დრო-გამოშვებითი ციება, და ამისათვის საკვირველი იქნებოდა გვეფიქრნა, როგორც ამის ჩემი მოწინ-აღმდეგენი სჩადიანო, რომ ხან-გამოშვებითი ციება ერთად-ერთი გადამდები ავადმყოფობაა, რომლის გაჩენის მიზეზი ნიადაგში უნდა მოვძებნოთ. დრო-გამოშვებითი ციებაც, როგორც დამტკიცდა, წვრილი ორგანიზმებისაგან არის წარმომდგარი და გადამდებ ავადმყოფობას შეადგენს, თუმცა ავადმყოფნი კი არ ავრცელებენ ამ სენს და არ შეჰყრიან ხოლმე სხვებს. ხოლო გემებზე კი, რომელნიც გაივლიან იმ ადგილებში, სადაც მძვინვარებს ციებ-ცხელება და რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონიათ ხმელეთთან, ყოფილა შემთხვევა დრო-გამოშვებითი ციებით ავადგახდომისა. ჩემის აზრის მეტოქეთა წინააღმდეგ ის ფაქტიც საკმარისია, რომ ექიმები და საზოგადოდ ის პირნი, რომელნიც უვლიან ხოლერით ავადმყოფებს ან მათს დამარხვაზე ზრუნავენ, ძალიან იშვიათად ხდებიან ავად ხოლერით და ეს იშვიათი შემთხვევანიც არ მიეწერებიან იმ გარემოებას, ვითომ ავადმყოფის ფეინისაგან გადასდებოდეთ სნეულება. თითო-ოროლა შემთხვევას თუ დაგვისახელებენ, ჩვენ საზოგადო წესს წავუყენებთ წინ. აი ამიტომ აქ, როგორც სხვა შემთხვევაშიაც, ავადმყოფობის მიზეზი უნდა მოიძებნოს ადგილისა და ნიადაგის ვითარებაში. პეტენკოფერს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, როცა ხოლერიანი საერთო გოსპიტალში დაუწვენიათ და ამ გარემოებას ვნება არ მოუტანია არც სხვა ავადმყოფებისათვის და არც ექიმთა და მომვლელთათვის. აგრეთვე ამავე მიუნხენელი სწავლულის აზრით, საცვალის შემწეობითაც თავისთავად ვერ გადაედება ვერავის ხოლერა. 1854 წ. მიუნხენში ხოლერა მძვინვარებდა. ერთი მიუნხენელი შტუტგარტში მივიდა, სადაც არ არსებობდა ავადმყოფობა და მაშინვე ხოლერით გახდა ავად. ამის შემდეგ გახდენ ავად მომვლელი, მრეცხავი, რომელიც ავადმყოფს სარეცხს ურეცხავდა და ამ უკანასკნელის ქმარი. მაგრამ ეს იყო და ეს. ამით გათავდა ხოლერა შტუტგარდტში, თუმცა მიუნხენელის საცვალისაგან ავად-გამხდარმა სამმა კაცმა თავიანთი საცვალიც გასვარეს, რადგან იმის საცვალთან ერთად რეცხავდენ. ხოლერიანი საცვალი შტუტგარდტელებისა უვნებელი იყო, ხოლო ავადმყოფობის მომდები და მისი გადამდები იყო საცვალი მიუნხენელისა, რადგანაც იგი იქიდამ მოეტანათ, სადაც ხოლერა არსებობდა.

დასასრულ პეტენკოფერი ამბობს, რომ კოხის ნაპოვნ ბაქცილებს ხოლერით ავად გამხდრის ნაწლევებში დიდი მნიშვნელობა აქვსო, მაგრამ ჯერ, ვიდრე ამ საფუძვლით რამე საშუალებას ვიხმარებდეთ, უნდა შევიტყოთ, რა დამოკიდებულებაშია ხოლერის გაჩენა ნიადაგისა და ადგილის ვითარებასთან. ამასა თუ იმ თემში ხოლერის გაჩენა დამოკიდებულია მიწისა და ადგილის გავსებაზედ კაცის განავალისა, ძონძისა და ფეინისაგან, რომელი მიზეზითაც ჩაისახებიან ხოლმე წვრილი ორგანიზმები და მათ შორის სახოლერო ბაქცილაც. მე—30, მე—40 და მე—50 წელთ შორის ინგლისი იმდენადვე იყო შეწუხებული ხოლერისაგან, რამდენადაც ხმელეთი ევროპა. ხოლერის მოსასპობლად ინგლისელებმა კავშირი კი არ შესწყვიტეს იმ ქვეყნებსა და თემებთან, სადაც ხოლერა მძვინვარებდა, არამედ იმის ზრუნვაში შევიდენ, რომ არხები ბლომად გაეკეთებინათ; წყალი ბლომად და საკმარისად ჰქონოდა ყველას და სახლები და ქუჩები სუფთად ყოფილიყვნენ. ყველა უწმინდური ორმო საშიშია, რომ ბუდედ არ გადიქცეს ხოლერისათვის. მე-60 წელთ შორის წინაწდელზედ ბევრად მცირედ გავრცელდა ხოლერა ინგლისში, ხოლო მე-70 წ. როცა ევროპაში ბევრგან მძვინვარებდა და თვით ინგლისშიაც შევიდა, გადამდები სენის ხასიათი არ მიიღო. მე მგონია, რომ ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ალაგი და ნიადაგი წინააღმდეგ შეიქნა ხოლერისა. ამის მაგალითები ხმელეთზედაც არის და ჩვენ შეგვიძლიან რამდენიმე შემთხვევა დავასახელოთ, რომ არხებისა და რუების მრავლად გაყვანამ და [illegible] წყლოობის მოსპობამ შეამცირა ბევრი გადამდები ავადმყოფობა და მათ შორის სახადი და ხოლერაც.

## ორიოდე სიტყვა ქართული წერის დედნის გამოცემაზედ

(სოფლის მასწავლებლების საყურადღებოდ.)

იბეჭდება პირველი ნაწილი და რამოდენიმე ეკზემპლიარი დაბეჭდილიცა მაქვს ქართული წერის დედანი მესხიევის ლიტოგრაფიაში. ეს პირველი ნაწილი შეიცავს ხელის სავარჯიშებელს ხაზებს და ოთხ-კუთხიან და შემრგვალებულს ქართული ასოების ნაწილებს (1 გვერდი); შემდეგ იწყობა ყოველს გვერდზე ხუთ-ხუთი და ექვს-ექვსი ასოების წერა ცალკე და ბოლოს სიტყვები. ყველა ასოები და სიტყვები მოთავსებულია ოთხს მწოლარე და სწორე შვეულს ხაზებში *). ბადე ისეთი მარტივი და საადვილოა, რომ ბავშვს სრულიადაც არ უნდა სწავლება, რვეულში ასო როგორ უნდა ჩასწეროს, საჭიროა მხოლოდ ბავშმა იცოდეს ელემენტების წერა და წინ ედვას ამ დედანთან სახმარებული

*) მე მინდოდა ექვსი მწოლარე ხაზები გამეკეთებია ბადეში, მაგრამ პრაქტიკამ ხელი ამაღებია: ბავშვს ერთობ უჭირდება აჭრელებულს ხაზებში ასოების და სიტყვების წერა. ან კი რა საჭიროა, რომ მოსწავლეს დავუნიშნოთ ხაზს ზევით და ქვევით,—დასაწერი ასო საიდამ დაიწყოს და სად შეაჩეროს (მ, შ, ძ, ე, ვ, კ და სხვ.)? უფრო პედაგოგიური იქნება, რომ მოსწავლეს თავისუფლება მიეცეს წერაში და თვალით გამოზომვასაც შეეჩვიოს.

ვ. ბ.

---

მუსრი გაადინა!.. შეიტყვეს ეს ამბავი ლოთრანგებმა, გულში შიში ეწვიათ, ადგნენ და იქ გაგზავნეს კოხი... ის კოხი კი არ გეგონოთ, რომელსაც იმერეთში იტყვიან ხოლმე*)... ექიმი, გვარად კოხი, გაგზავნეს სენის გამოსაკვლევად... იმანაც მოახსენა თავის მმართებლობას, რომ ეს სენი მძიმეაო**)... უწმინდურობას ელტვისო, თავი გაისუფთავეთო... სახრეც მიირთვითო... ვინ არ იცის, რომ ამ გვარი სენი მძიმე იქნება და სისუფთავე სჯობია..., მიჰყვეს ზოგიერთმა ქალაქებმა ხელი თავიანთ გასუფთავებას, მაგრამ თბილელი და ქუთათელი კი გაჯიბრდნენ: ჩვენ მაგას არა ვიქთო, აქ უნდა დავპატიჟოთო, ვილაც მძიმეა და იმოდენი საზრდო-ხორაგი დაუმზადეს, რომ კაცი ცხვირ-აუკრავი ველარ გაივლიდა ქუჩაში... ესეც აღარ აკმარეს და ვაზებს რაღაც მატლი დაახვიეს... ფილოქსერას ეძახიან... იქნება, ხოლერას ღვინო სძულდესო და ბარემ ვაზებიც გადავახმოთო... ხორცს ხომ თვალით ვეღარა ჰნახავდა მდაბალი ხალხი, რადგან მეტად იაფი და სურნელი იყო!.. ტყავები კი ქარხნებში ინახებოდა თბილელის საკემუხტეში... ეხლა თქვენი ბედნიერი თავიც გაარჩევს: ან ბინძურობას რა მოსდევს და ან სილარიბეს; ჭორიკანა ვეზირი კი ამას არა ფიქრობს.

ჭორიკანამ თავი გააქნია, ეშმაკურად ჩაიცინა და მოახსენა „კაცს":

— „ბატონო «კაცო»! ბანა არ მოგეხსენებათ, რომ თქვენს შვილებში ბევრნი მუშტაიდში უფრო დაიარებიან, მანამ რომლისამე საზოგადოების სამმართველოში; ბლდანელის ჭიდილზე უფრო სიამოვნებით დადიან, მანამ თეატრში; დღე სძინავთ და ღამე ათენებენ ბალებში. იქ ნამოქმედარის ნაყოფები საბებიო სახლში იკვებებიან, ან კიდევ ქუჩებში პოულობენ... ამ გვარი ზნეობიანი შვილები რა რჩევას მისცემენ ან თბილელს და ან ქუთათელს? ამიტომაც, მგონია, თქვენი ფშუკურა სავაზიროდ აღარ ვარგოდეს, მოხუცდა და ულუფაზედ რომ გაუშვებდეთ, ისა სჯობია, თორემ, დასტურ, ყველას აგვაყროლებს, როგორც იმ ერთს აქლემს უქნია...

სთქვა ჭორიკანამ არაკი.

მეფე ერეკლეს ერთი ნამსახური აქლემი ჰყოლია... ყველა ომებში ზამბურაკი თურმე იმას დაჰქონდა. როცა დაბერდა ეს აქლემი, მეფემ ბძანა იმისი თავისუფლად გაშვება თბილისში და თუ ვისმეს აზარალებდა რასმე აქლემი, უნდა მისულიყვნენ და მეფის ხაზინიდან მიეღოთ ნაზარალევის საფასე.

აქლემი დაალაჯუნებდა, შეეჩვია მეხილეებს და, სადაც კარგი ხილი იყო, მოუსომდა ხოლმე ტუჩებს... ხალხი შეწუხდა, რადგან ზარალის თხოვნას ვერა ჰბედავდენ...

დღეს ფშუკურამაც თავის ვაზირობით ახლავე აგვაყროლა... მაგისი რჩევა ხომ არას გამოგვადგება და ისა სჯობია, რომ ეგ ისევ ულუფაზედ გაუშვათ.

სთქვა ფშუკურამ არაკი.

ერთმა კაცმა ანდერძი დაწერა, რომელშიაც თავის ექიმს აღუთქვა შეორკეცება ჯამაგირისა ყოველ წლივ. ეს იმ აზრით მოიქმედა, რომ ექიმი დიდხანს მაცოცხლებსო. ექიმი იმ კაცის სიკვდილს ნატრობდა, რადგან ფულის მიღებას ისწრაფოდა, თორემ იმის სიცოცხლისთვის კი არა ზრუნავდა... მოთმინებიდამ გამოსულმა ექიმმა, მოწამლა თავისი კეთილის-მყოფელი მოანდერძე...

ჭორიკანას ჩემი ჯამაგირიანი ადგილი ეხარბება და ამისთვის ზრუნავს, ვითომ ჩემს ულუფაზედ, თორემ მაგას ვინა ჰკითხავს ჩემს განსვენებაზედ...

ეცუნა.

*) სეტყვას იმერეთში კოხს ეძახიან.

**) Запятая.

ქართული წერის რვეული: წერის დედანი სამად მაქვს განაწილებული: ა) მსხვილი გაშლილი ხელი ბადეში, ბ) საშუალო მრგვალი და გადაბმული ხელი უბადეოდ (იქნება მხოლოდ ჯერ ოთხი მწოლარე ხაზები, შემდეგ სამი და ბოლოს უხაზოდ). გ) ნუსხური ხელი. მეორე და მესამე ნაწილში ასოები უფრო სიმეტრიულად და ლამაზად მექნება დაწერილი; საზოგადო ბადეში, ცოტა არ იყოს, ზოგიერთს ასოებს ერთობ ეჩოთირებათ სადღათებივით გამოჭიმვა, და ეს მიზეზი უნდა უნდა იყოს, რომ სილამაზე ეკარგებათ. ადგილიც ზოგიერთს ასოებს დიდი უკავია: მაგალითად, ო-ნს, თ-ნს, რ-ეს, ზ-ნს, ც-ნს და ტ-რს ორჯერ მეტი ადგილი უკავია ი-ზე, ა-ზე, ე-ზე, უ-ზე, ხ-ზე, ქ-ზე, ძ-ზე და სხვ. უკეთესი იქნებოდა, დიდი ასოები პატარებზე მთელ ნახევარი ხაზით ყოფილიყო მეტი, მაგრამ საზოგადო ბადეში ვერ მოვახერხე. მეორე და მესამე ნაწილში შესაძლებელია, რადგან შვეული (**вертикальныя линіи**) ხაზები აღარ მექნება.

ვ. გაბიჩვაძე.

პ. ს. მეორე და მესამე ნაწილი ქართული წერის დედნისა გამოვა მარიამობისთვის 20-ს რიცხვში.

ვ. გ.

---

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივლისის 24

**კიევი.** კიევის გუბერნატორი ცხადებს, რომ ბერდიჩევში გაჩენილი ავადმყოფობა არ იყო გადამდები; ავადმყოფობის მიზეზი იყო მეტის-მეტად ცუდი სანიტარული მდგომარეობა ქალაქისა და ამასთანავე კიდევ ის გარემოება, რომ მომკვდარნი მეძოწძენი ჰიგიენურს წესზედ არა სცხოვრობდენ.

**ლონდონი.** გლადსტონმა განაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ ინგლისს გულ-წრფელადა ჰსურს ხედივის დამოუკიდებლობა, თვისი საკუთარის ზედგავლენის შემცირება ეგვიპტეში და აგრეთვე ოკუპაციის ვადის შემცირებაც. გრენვილმა სთქვა ლორდთა პალატაში; რომ ინგლისმა მოიპოვა სრული თავისუფლება და როგორც უნდა, ისე იმოქმედებს ეგვიპტის საქმეებში, მაგრამ ჯერ საჭიროა განხილვა იმ საგნისა—თუ როგორ მოიხმაროს ეს თავისუფლება.

ივლისის 25

**პეტერბურგი.** ლეიბ-გვარდიის ცხენოსანი პოლკის კომანდირი, ფლიგელ-ადიუტანტი, პოლკოვნიკი ბარიატინსკი დაითხოვეს ამ პოლკის კომანდირობისაგან, ჩამოხადეს ფლიგელ-ადიუტანტის წოდება და შერიცხეს არმიის კავალერიაში.

„ჟურნალ დე-სან პეტერბურ“ არღვევს უცხო-ქვეყნელი გაზეთების ამბავს, ვითომც პეტერბურგში და საზოგადოდ რუსეთში ხოლერა გაჩენილიყოს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ გადასწყვიტა გახსნას კრედიტი გორდონის განმათავისუფლებელ ექსპედიციისათვის; ამისათვის პირველი ლორდი საადმირალოსი ნოსბრუკი მალე ეგვიპტეში მიდის.

**ათინა.** სამეფო სასახლეში ცეცხლი გაჩნდა; ზემო სართული სრულიად დაიწვა; ცეცხლის გაქრობის დროს რამდენიმე სალდათი დასახიჩრდა.

**რომი.** პიემონტში და ლიგურიაში რამდენსამე ადგილას აგვისტოს 3 (ახ. სტ.) 14 კაცი გახდა ავად ხოლერით; მათ შორის ექვსი მოკვდა.

---

# განცხადებანი

**სანთელი სტეარინისა 1-ლი სორტი**

4-იანი და 5-იანი ფუთი 11 მან., გირვან. 28 კაპ. უკეთუ სხვის სანთელი ჩვენს სანთელზე იაფი იყოს და სიკეთით ჩვენსასა სჯობდეს, ვსთხოვთ ბბ-ნთ მსყიდველთ სინჯონ ჩვენი სანთელიც და შეადარონ სხვებისას.

**ტოლე.** (5—1)

---

**ინდოეთის შლაპები** თითო 3 მანათად. ბომაზეი 90 კ.—1 მან. არშინი, გლიცერინის საპონი გირვანქა 40 კ. მედალიონები ქაღურით ქუნთრუშის ასაცილებლად, კარბოლის პარაშოკი გადამდები ავადმყოფობის ასაცილებლად—20 კაპ. ალმასის პარაშოკი ყოველ გვარი მეტალის საწმენდად 15 კაპ.—$^1/_2$ გირვ.; ქაღალდი ვატერკლოზეტისათვის 500 ფურცელი 50 კაპ. 3000 არშინი ამერიკის კლიონკა სხვა-და-სხვა სორტისა 50 კაპ.—2 მან. არშინი, 1200 ინგლისური რკინის კრაოტები,—ვაჟიკაცისა 7 მანათიდამ, ბავშვებისა 4 მანათიდამ. (6—5)

---

ვუცხადებ ბორის მაზრის საზოგადოებას რომ მე მოვიტანე ქ. ბორში ვარშავიდან პოლსაპოშკები სხვა-და-სხვა ნაირი: კაცისა, ქალისა და პატარა ყმაწვილებისა და ვყიდი უწინდელზედ დაშორებით ნაკლებ ფასებად.

(6—5) ივანე ბარამოვი.

---

გაიცემა ქირით ექსპლუატაციისთვის

# ორი ტყის დაჩა

**ამიერ კავკაზიის მხარეში:**

ერთი,—1500 დეს. რკინის გზაზე, მეორე—1300 დეს. მდ. მტკვართან

პირობების შეტყობა შეიძლება:

**თბილისში**—ჟურნალი «იურიდიჩესკოე ობოზრენიეს» ადმინისტრაციაში,

**ქუთაისში**—დაფიცებული ვექილის თანა-შემწესთან თ. ანტონ ნიკ. ლორთქიფანიძესთან. (10—8)

---

ვაჭრობა საღებავებით

კავკასიის ამხანაგობისა (გრაფის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

**საღებავები** ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

**ლაქი** ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი **ხანგალი** (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი სალებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი **თხელი ნივთიერება**, რომელიც სინოტიეს აცილებს თაიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (**Enduit hydrofuge**)—მიუკარებელია სინოტიესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუყოვნებლად. (70—27)

---

ინგლისის მაღაზიაში,

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—49)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სწოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

**მაზანდა**

ფორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| ადგილობრივი ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჭვავის-მამა პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | — კ. |

**რკინის გზა**

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

*Доз. ценз. Тифлисъ, 25 Іюля 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.